რეგიონების ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის კრიზისის წარმოშობის ფორმები, მიზეზები და შედეგები

ქეთევან მუმლაძე –
სტუ-ს დოქტორანტი

რეგიონების ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემა განიცდის წონასწორობა-არაწონასწორობა, მდგრადობა-არამდგარობა პროცესების გავლენას, რაც ვლინდება მათი ფუნქციონირების ციკლურობის პროცესებში და ხასიათდება კრიზისული მოვლენებით ეკოლოგიურ-ეკონომიკური დამოკიდებულების განვითარებაში.

კრიზისი (ბერძნულიდან - გადაწყვეტა, საბრუნი პუნქტი, გამოსავალი) - ეს არის გარდატეხის მომენტი, მძიმე საწყისი მდგომარეობა, გამწვავება, საშიში არამდგრადი მდგომარეობა. როგორც ცნობილია, კრიზისები დამახასიათებელია პრაქტიკულად სისტემების მთელი მრავალფეროვნების განვითარებისათვის. ამასთან დაკავშირებით გამოყოფენ ფინანსურ, ფულად-საკრედიტო, სავალუტო, საბირჟო, სამრეწველო, აგრარულ, სტრუქტურულ, სასურსათო, სათბობ და კრიზისის სხვა ტიპებს.

მდგრადი რეგიონული განვითარების კონცეფციის ფარგლებში ეკონომიკასა და ეკოლოგიას შორის ურთიერთქმედების პრობლემების კვლევისას უდიდეს ინტერესს წარმოადგენს ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის კრიზისის ფორმირების, განვითარების და დაძლევის გზების მეცნიერული ანალიზი.

ეკოლოგიური კრიზისის ცნებაში განიხილება გარემომცველი ბუნებრივი გარემოს კრიტიკული მდგომარეობა ბუნებრივი სიმდიდრის არაგონიერი, მფლანგველობითი გამოყენების, ასევე წარმოების და ადამიანის საქმიანობის ნარჩენებით გარემოს დაბინძურების შედეგად.

ეკოლოგიური და ეკონომიკური კრიზისები ურთიერთდაკავშირებულია და თითო პრობლემის გამწვავება იწვევს მდგომარეობის გაუარესებას სხვა სფეროში. ამიტომ, ჩვენი უფრო ყურადღებით შესწავლის საგანს წარმოადგენს ეკოლოგიურ-ეკონომიკური კრიზისი როგორც ურთიერთქმედება, ურთიერთგავლენა და ურთიერთშეღწევა ეკონომიკური და ეკოლოგიური კრიზისების ელემენტების.

თანამედროვე მსოფლიოში კრიზისული განვითარების ეკონომიკური და ეკოლოგიური პარამეტრების ურთიერთქმედების შესახებ მოწმობს შემდეგი მონაცემები. მსოფლიოში უკანასკნელი 30 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ბუნებრივი კატასტროფების სიხშირე. გაეროს მონაცემებით ყოველწლიურად მსოფლიოში 600-მდე სტიქიური უბედურება ხდება, 200 მილიონზე მეტი ადამიანი ზარალდება, ეკონომიკური დანაკარგები კი 100 მლრდ დოლარს აღწევს. რაც შეეხება სტიქიური მოვლენების შედეგად ადგილნაცვალ პირებს, მათი რაოდენობა 25 მილიონს აღწევს, რაც ორჯერ მეტია ვიდრე შეიარაღებული კონფლიქტების და პოლიტიკური რეპრესიების შედეგად ადგილნაცვალი პირების რაოდენობა ერთად აღებული.

საქართველო ბუნებრივი კატასტროფების სიხშირის მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, გლობალური კლიმატის ცვლილების ფონზე, გარემოზე ადამიანის ზემოქმედების გააქტიურების გამო საქართველოში სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური ხასიათის მოვლენების სიხშირისა და ინტენსივობის შესამჩნევი ზრდა შეინიშნება.

საქართველოში გავრცელებული ძირითადი სტიქიური მოვლენები (წყალდიდობა-წყალმოვარდნა, მეწყერი, ღვარცოფი, ნაპირების გარეცხვა, თოვლის ზვავები, სეტყვა, თავსხმა წვიმები, ძლიერი ქარები, გვალვა და სხვა) აზარალებს სასოფლო სამეურნეო-სავარგულებს, შენობებს, გზებს და სხვა ინფრასტრუქტურულ ნაგებობებს და შესაბამისად, მნიშვნელოვან ზარალს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას.

ბოლო 10 წლის განმავლობაში ბუნებრივი კატასტროფების შედეგად საქართველოს ეკონომიკამ 500 მლნ აშშ დოლარზე მეტი იზარალა, სტიქიის მსხვერპლთა რაოდენობამ კი 400-ს მიაღწია. ეს ციფრები იმაზე მიუთითებენ, რომ ეკოლოგიური კრიზის გამწვავება პირდაპირ პროპორციულად აისახება ეკონომიკური კრიზ-

ნახ 1. სტიქიური მოვლენების (წყალდიდობები, ღვარცოფები, მეწყერები, ზვავები, ქარიშხლები) რაოდენობა და მსხვერპლი, 1995-2009წწ[1]



ისის გაღრმავების პრობლემებზე.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ეკოლოგიურ-ეკონომიკური კრიზისის შინაარსის მეცნიერული ანალიზი, მიზეზების და შედეგების გამოვლენა, მისი გადალახვის მეცნიერულად დამუშავებული მიმართულებების განსაზღვრა მდგრადი რეგიონალური განვითარების სტრატეგიის ფარგლებში.

ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადობის მდგომარეობისაგან გასხვავებით მისი კრიზისული გამოვლენა ხასიათდება ბალანსის დარღვევებით ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფაში საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა დონეზე, დისპროპორციებით ბუნებრივ-რესურსული და ადამიანური პოტენციალის კვლავწარმოების პროცესში, როგორც ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადობის პოტენციალის მთავარი ელემენტის.

სხვა სიტყვებით, ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის კრიზისი გაგებულ უნდა იქნაეს წონასწორული მდგომარეობის, მდგრადობის რღვევა ეკოლოგიურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში, როცა ეკონომიკური არასტაბილურობის ფაქტორების გავლენით წარმოიშვება ნეგატიური ეკოლოგიური შედეგები და პირიქით, გარემომცველი ბუნებრივი გარემოს ურთიერთდაკავშირებული ელემენტების დაბალანსირებულობა თავის მხრივ იწვევს სერიოზულ ეკონომიკურ დისპროპორციებს საზოგადოებრივი სისტემის სხვადასხვა დონეზე.

მიზეზ-შედეგობრივი კავშირების თანამედროვე ეკოლოგიურ-ეკონომიკური კრიზისის უფრო თვალნათლივ დამახასიათებელი ურთიერთდამოკიდებულების მეცნიერულმა ანალიზმა საშუალება მომცა გამეკეთებინა რიგი განზოგადებების და დასკვნების.

ეკოლოგიურ-ეკონომიკური კრიზისული მდგომარეობის რეგიონულ მიზეზებს შორის უნდა დავასახელოთ წარმოებასთან და ბუნებრივ რესურსულ პოტენციალთან დაკავშირებული ურთიერთდაკავშირებული პროცესებისა და ტენდენციების შემდეგი „ჯაჭვი": რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობის უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ზრდა – მოსახლეობის სასიცოცხლო სტანდარტების გაზრდა და ახალი ხარისხობრივი მდგომარეობა – წარმოების მოცულობის და ბუნებრივი რესურსების მოხმარების ზრდა – ბუნებრივ გარემომცველ გარემოზე დატვირთვის გაზრდა და საბოლოო ჯამში, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ამოწურვა, ასევე ბუნებრივი გარემომცველი გარემოს თანდათანობითი დეგრადაცია.

რეგიონების ეკოლოგიურ-ეკონომიკური კრიზისის სიღრმისეულ მიზეზს წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის გარემოს მდგომარეობაზე უარყოფითი შედეგების რაოდენობრივი დაგროვება, რაც იწვევს ეკოლოგიურ-

[1] წყარო: 2007-2009წწ ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ

ეკონომიკური წონასწორობის გარკვეულ თვისობრივ რღვევას.

როგორც ცნობილია, ბიოსფერო წარმოადგენს რა თვითრეგულირებად და თვითაღდგენად სისტემას, შენარჩუნდება მხოლოდ მაშინ, როცა დატვირთვა, რომელსაც სისტემა განიცდის, არ აღემატება მისი თვითრეგულაციის შესაძლებლობებს.

ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების ურთიერთქმედება და ურთიერთშეღწევა ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის ფორმირებისა და განვითარების პროცესში შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მიზეზებისა და შედეგების სქემის მიხედვით (ნახ. 1 ნახ. 2).

ნახ. 1 ეკონომიკური კრიზისის გავლენა ეკოლოგიაზე

მიზეზი		შედეგი
ძირითადი ფონდების ცვეთიანობა	⇨	ავარიულობის ზრდა მძიმე ეკოლოგიური შედეგებით
ეკონომიკური სუბიექტების გადახდისუნარიანობის კრიზისი	⇨	გართულებები ბუნებისდაცვითი ღონისძიებების ფინანსირებაში საწარმოს მხრიდან
ინვესტიციური კრიზისი	⇨	ხანგრძლივი რესურსების უგულებელობა ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისას
ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის განვითარება ექსპორტზე ორიენტირებული სანედლეულო და მაბინძველებელი დარგების სასარგებლოდ	⇨	გარემომცველი ბუნებრივი გარემოს დაბინძურების ზრდა ყველაზე უფრო მაღალი ხარისხის ეკოლოგიური რისკის საწარმოებით
ეკონომიკური სტიმულების არაეფექტური სისტემა ბუნებათსარგებლობაში	⇨	ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის არარაციონალური გამოყენება, გარემოს დეგრადაცია
საგანმანათლებლო ეკოლოგიური პროგრამების არასაკმარისი ფინანსირება	⇨	მოსახლეობის ეკოლოგიური ცნობიერების დაბალი დონე

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის კრიზისი გავრცელების მასშტაბების მიხედვით, გარდა რეგიონული დონისა, განხილულ უნდა იქნეს ეროვნულ დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Бобылев С.Н., Ходжаев А.Ш. Экономика Природопользования. Учебное пособие. Москва, ТЕИС, 1997
2. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, თბილისი, 1993, 29ზვ.
3. Возняк В.Я. Общественное развитие и экология: взаимосвязь, противоречия, кризисы. Вопросы экономики №2, 1995, 401 TX.
4. Возняк В.Я. Общественное развитие и экология: взаимосвязь, противоречия, кризисы. Вопросы экономики №8, 1995, 129–139 TX.
5. www.moe.gov.ge
6. www.ecomigration.ge

ნახ. 2 ეკოლოგიური კრიზისის გავლენა ეკონომიკაზე

RESULTS, REASONS AND FORMS OF FORMING OF CRISIS OF ECOLOGICAL-ECONOMICAL SYSTEM OF REGIONS

KETEVAN MUMLADZE – Doctorate of the GTU

During the study of the problems of interaction between the economics and ecology within the framework of the sustainable regional development conception the crucial interest is roused in scientific analysis of forming, developing and overcoming of crisis of ecological-economical system. In the presented article is discussed the concept of the crisis of ecological-economical system of the regions and from this point are discussed aspects of the forming and developing of the crisis, issues such as dependence of the ecological and economical crisis on each other. The object of the study is ecological-economical crisis as interaction, interinfluence and interpenetration of the elements of the economical and ecological crisis.

Also the article outlines the negative results, reasons and major forms of forming of crisis of ecological-economical system.